

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8

2017 წლის 25 მაისი

დაბა ხულო

"ხულოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 63-ე მუხლის საფუძველზე, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1

"ხულოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №28 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხულოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი

ოთარ ცეცხლაძე

დანართი 1

ხულოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი

თავი I

ხულოს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
შემოსავლები	9 813 671	13 269 052	10 234 500
გადასახდელები	483 199	3 121 395	3 247 000
გრანტები	8 732 261	9 678 666	6 647 500
სხვა შემოსავლები	598 211	468 991	340 000
ხარჯები	6 298 769	7 050 432	6 134 586
მრომის ანაზღაურება	1 748 262	1 675 349	2 968 211
საკონელი და მომსახურება	926 224	1 255 189	2 320 001
პროცენტი			
სუბსიდიები	2 071 086	2 402 246	3 000
გრანტები	542 663	369 311	230 000
სოციალური უზრუნველყოფა	556 802	611 631	360 039



სხვა ხარჯები	453 732	736 707	253 335
საოპერაციო სალდო	3 514 902	6 218 620	4 099 914
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 940 329	5 973 863	4 672 864
ზრდა (შემცირება)	4 943 808	5 978 476	4 672 864
კლება (გაყიდვა)	3 479	4 613	0
მთლიანი სალდო	-1 425 427	244 757	-572 950
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 428 187	214 290	-668 795
ზრდა	2 695	214 290	6 500
ვალუტა, დეპოზიტები	2 695	214 290	6 500
სესხები	0	0	0
კლება	1 430 882	0	675 295
ვალუტა, დეპოზიტები	1 430 882	0	675 295
სესხები	0	0	0
ვალდებულებების ცვლილება	-2 760	-30 467	-95 845
ზრდა	0	0	0
სესხები	0	0	0
კლება	2 760	30 467	95 845
სესხები	0	0	0
ბალანსი	0	0	0

მუხლი 2. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
შემოსულობები	9 817 150	13 273 665	10 234 500
შემოსავლები	9 813 671	13 269 052	10 234 500
არაფინანსური აქტივების კლება	3 479	4 613	0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
გადასახდელები	11 245 337	13 059 375	10 909 795



ხარჯები	6 298 769	7 050 432	6 134 586
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 943 808	5 978 476	4 672 864
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)			6 500
ვალდებულებების კლება	2 760	30 467	95 845
ნაშთის ცვლილება	-1 428 187	214 290	-675 295

მუხლი 3. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 10 234 500 ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
შემოსულობები	9 817 150	13 273 665	10 234 500
შემოსავლები	9 813 671	13 269 052	10 234 500
გადასახადები	483 199	3 121 395	3 247 000
გრანტები	8 732 261	9 678 666	6 647 500
სხვა შემოსავლები	598 211	468 991	340 000
არაფინანსური აქტივების კლება	3 479	4 613	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 3 247 000 ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
გადასახადები	483 199	3 121 395	3 247 000
სამემოსავლო გადასახადი	0	365 481	430 000
ქონების გადასახადი	483 199	2 755 914	2 817 000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	460 634	2 446 301	2 800 000
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)			
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 648	1 603	2 000
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1 172	179	
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	19 745	307 831	15 000

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები



განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6 647 500 ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
გრანტები	8 732 261	9 678 666	6 647 500
სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	8 732 261	9 678 666	6 647 500
გათანაბრებითი ტრანსფერი	6 323 500	5 986 000	3 506 000
მიზნობრივი ტრანსფერი			
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	1 300 000	2 635 642	3 141 500
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	199 700	237 829	
სპეციალური ტრანსფერი	909 061	819 195	0
მ.შ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	909 061	819 195	

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 340 000 ლარის ოდენობით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	598 211	468 991	340 000
შემოსავლები საკუთრებიდან	343 669	235 877	245 000
პროცენტები	203 526	128 924	130 000
რენტა	140 143	106 953	115 000
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	129 489	102 153	115 000
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	10 654	4 800	
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	9 227	5 014	5 000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	9 227	5 004	5 000
სანებართვო მოსაკრებელი	4 391	1 288	1 000
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	21		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	4 815	3 716	4 000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0	10	0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0	10	
ჯარიმები, სანქციები და საურავები	51 501	35 547	30 000
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	80 000	40 000	0



შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	113 814	152 553	60 000
--	---------	---------	--------

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6 126 926 ლარის ოდენობით:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
2	ხარჯები	6 298 769	7 050 432	6 134 586
21	შრომის ანაზღაურება	1 748 262	1 675 349	2 968 211
22	საქონელი და მომსახურება	926 224	1 255 189	2 320 001
24	პროცენტი	0	0	0
25	სუბსიდიები	2 071 086	2 402 246	3 000
26	გრანტი	542 663	369 311	230 000
27	სოციალური უზრუნველყოფა	556 802	611 631	360 039
28	სხვა ხარჯები	453 732	736 707	253 335

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 4 672 864 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 4 672 864 ლარის ოდენობით;

პროგრამული კოდი	მხარჯავი დაწესებულება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	103 386	32 598	45 000
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	2 081	0	0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	3 593 008	4 280 963	3 147 240
05 00	განათლება	967 094	879 773	785 000
06 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	272 308	775 256	648 824
07 00	მოსახლეობის ჯანმთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5 931	9 886	46 800



სულ ჯამი	4 943 808	5 978 476	4 672 864
----------	-----------	-----------	-----------

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ათასი ლარის ოდენობით;

აქტივებზე ოპერაციების კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივები	3 479	4 613	0
311	ძირითადი აქტივები	764	0	0
314	არაწარმოებული აქტივები	2 715	4 613	0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 10 807 450 ლარით.

ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 242 949	2 245 645	2 117 683
7011	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 153 322	2 245 645	2 117 683
70111	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 153 322	2 245 645	2 057 683
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	0	60 000
7012	საგარეო ეკონომიკური დახმარება	89 627	0	
70122	საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით გაწეული ეკონომიკური დახმარება	89 627	0	
702	თავდაცვა	83 388	8 912	7 000
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	405 624	0	0
7032	სახანძრო დაცვა	405 624	0	0
7036	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	0	0	0
704	ეკონომიკური საქმიანობა	72 353	796 274	1 241 373
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	6 403	22 195	40 000
70421	სოფლის მეურნეობა	6 403	22 195	40 000



7045	ტრანსპორტი	65 950	774 079	1 201 373
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	21 234	660 618	1 156 093
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო სამუშაოები	44 716	113 461	45 280
705	გარემოს დაცვა	317 471	801 002	254 000
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	119 597	472 175	184 000
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	197 874	328 827	70 000
706	საბინაო კომუნალური მეურნეობა	3 792 186	3 568 200	2 569 732
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	482 373	460 745	1 146 760
7063	წყალმომარაგება	1 982 264	1 670 766	862 515
7064	გარე განათება	177 504	309 996	275 000
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო- კომუნალურ მეურნეობაში	1 150 045	1 126 693	285 457
707	ჯანმრთელობის დაცვა	150 266	178 048	414 410
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	150 266	178 048	414 410
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 411 526	2 367 352	1 686 724
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	477 289	704 017	567 079
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	925 651	1 638 870	1 099 645
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	8 586	24 465	20 000
709	განათლება	2 171 878	2 275 335	2 216 328
7091	სკოლამდელი აღზრდა	899 959	1 133 725	1 147 010
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1 271 919	1 141 610	1 069 318
710	სოციალური დაცვა	594 936	788 140	300 200
7107	სოციალური გაუცხოების საკითხი, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	35 176	36 600	36 500
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	559 760	751 540	263 700
სულ ბიუჯეტის გადასახდელები		11 242 577	13 028 908	10 807 450

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 572 950 ლარის ოდენობით.



მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 668 795 ლარის ოდენობით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 675 295 ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 428 187	214 290	-668 795
ზრდა	2 695	214 290	6 500
ვალუტა, დეპოზიტები	2 695	214 290	6 500
სესხები	0	0	0
კლება	1 430 882	0	675 295
ვალუტა, დეპოზიტები	1 430 882		675 295
სესხები	0	0	0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 95 845 ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
ვალდებულებების ცვლილება	-2 760	-30 467	-95 845
ზრდა	0	0	0
სესხები	0	0	0
კლება	2 760	30 467	95 845
სესხები	0	0	0

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელეების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 60 000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 14. საწევრო შენატანი

აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, თვითმმართველ ქალაქ ბათუმსა და აჭარის არ მუნიციპალიტეტებს შორის 2016 წლის 15 ნოემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის საფუძველზე მიღებულია გადაწყვეტილება სს„აჭარის წყლის ალიანსის“ დაფუძნების შესახებ, სადაც ალიანსის პირველი წლის ფუნქციონირებისათვის საპროგნოზო ექსპლოატაციის ხარჯებისათვის ხულოს მუნიციპალიტეტის წილი განისაზღვრა (5%) 6 500 ლარის ოდენობით.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა



განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხულოს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხულოს მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვა, გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება, საგზაო ინფრასტრუქტურის, გარე განათების, გამწვანების, სანიტარიული დასუფთავების, წყალმომარაგების, სანიაღვრე არხების, კეთილმოწყობის, ასევე განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მგზავრთა ტრანსპორტირების მომსახურება, კურორტ ბემუმისა და მუნიციპალიტეტში არსებული სახიდე გადასასვლელების და შიდა გზების რეაბილიტაცია.

2.1.1 მგზავრთა მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01 02)

მოსახლეობის თხოვნით დაგეგმილია ხულო-ბემუმის, ღორჯომი-ზორტიყელის, ხიხადირის, ვაშლოვანის და დიდაჭარის მთების მიმართულებით უფასო მიკრო ავტობუსების დანიშვნა, რომლის აუცილებლობაც გამოწვეულია მგზავრთა სიმრავლით.

2.1.2 კურორტ ბემუმის შიდა გზების რეაბილიტაცია (გარდამავალი) (პროგრამული კოდი 03 01 03)

კურორტი ბემუმი თავისი ტერიტორიული მდებარეობით და კლიმატით ერთ-ერთი საუკეთესო და მიმზიდველია დამსვენებელთათვის. 2016 წელს აღნიშნული მიმართულებით სამუშაოების ნაწილი შესრულებულია, ხოლო 2017 წელს მთლიანად დასრულდება კურორტ ბემუმის შიდა გზების რეაბილიტაცია, რაც მოგვცემს დამსვენებელთა მარტივი და კომფორტული გადაადგილების საშუალებას, ასევე გაიზრდება დამსვენებელთა ნაკადი და მათი კმაყოფილების დონე.

2.1.3 ირემამეების ხიდის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 01 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოფელ ირემამეებში (სკვანის უბანი) არსებული საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაციას, რომელიც ამორტიზებულია და საჭიროებს აუცილებელ შეკეთებას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება.

2.1.4 დიდაჭარაში საფეხმავლო ბილიკების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოფელ დიდაჭარაში არსებული მოსახლეობისათვის საჭირო ობიექტებამდე და ისტორიულ ძეგლებამდე მისასვლელი ბილიკების და კიბეების მოწყობას, რომელიც აუცილებელია როგორც სოფლის მოსახლეობისათვის, ასევე ტურისტების გადაადგილებისათვის.



2.1.5 დეკანაშვილებში საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაცია (ეკლანას წყალთან) (პროგრამული კოდი 03 01 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოფელ დეკანაშვილებში ეკლანას წყალთან არსებული ხიდის რეაბილიტაციას. აღნიშნული ხიდით სარგებლობს სოფლის დიდი ნაწილი, რომელიც თითქმის მთლიანად მოშლილია და ვერ ასრულებს თავის ფუნქციას. დაგეგმილია მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.

2.2. ა(ა)იპ „ხულო-თაგოს“ ბაგირგზა (პროგრამული კოდი 03 02)

ხულოს მუნიციპალიტეტი გამოირჩევა თავისი რთული რელიეფური მდებარეობით, მათ შორის განსაკუთრებულად დიდ სირთულეს წარმოადგენს სოფელ თაგოს მოსახლეობისათვის დაბა ხულოსთან დამაკავშირებელი გზით სარგებლობა, რამაც შექმნა „ხულო-თაგო“-სატვირთო-სამგზავრო ბაგირგზის არსებობის აუცილებლობა. აღნიშნული ტრანსპორტით სარგებლობს როგორც მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, ასევე დიდ მოწონებას და ინტერესს იწვევს ტურისტულ ჯგუფებშიც. ბაგირგზის ექსპლოატაციას და ობიექტის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „ხულო-თაგოს“ ბაგირგზა. ბაგირგზის მცირე შემოსავლების გამო (20 თეთრი) მის ფუნქციონირებას ფინანსურად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

2.3 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, წყლის სისტემების მოვლა-რეაბილიტაცია საპროექტო-საკადასტრო სამუშაოები, სანიაღვრე არხების მოწყობა, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

2.3.1 გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს „გარე განათების მოვლა-ექსპლოატაციის“ პროგრამით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელების სრულყოფას, განათების თანამედროვე წყაროების, ახალი მასალების გამოყენებას, ღამით უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობას. გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 82 დასახლებულ პუნქტში 5330-მდე წერტილის მომსახურება.

გათვალისწინებულია მთა თეთრობში ელექტროგადამცემი ქსელების მშენებლობა, რაც უზრუნველყოფს აღნიშნულ მთებში არსებული მოიალაღეების კეთილდღეობას. ასევე დასრულდება 2016 წელს დაწყებული მუნიციპალიტეტის იალაღებზე ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობის სამუშაოები.

2.3.2 სანიტარიული დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 03 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო და ეკოლოგიურად სუფთა სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის დაბის და ადმინისტრაციულ ცენტრებში ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, განხორციელდება სოფლების ადმინისტრაციული ცენტრებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანა და შემდგომ მისი ქალაქ ბათუმში ტრანსპორტირება. ასევე ხორციელდება მწვანე საფარის დასუფთავება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება ტერიტორიის დასუფთავება ჭარბი თოვლისა და ყინულისაგან.

2.3.3 უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებლობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 04)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო და მაწანწალა ცხოველების რაოდენობა ბოლო წლებში მატულობს, რაც საშიში დაავადებების გავრცელების საფრთხეს ქმნის. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების იზოლირება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის



მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

2.3.4 ა(ა)იპ – ხულოს წყალკანალი (პროგრამული კოდი 03 03 05)

ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალი“ ხორციელდება დაბა ხულოსა და მუნიციპალიტეტში არსებული 26 წყალსადენის მოვლასა და წყლის შეუფერებლად მიწოდების უზრუნველყოფას. დღეის მდგომარეობით ყველა წყალსადენი 24 საათიანი რეჟიმით უზრუნველყოფს წყლის მიწოდებას. ასევე უზრუნველყოფს დაბის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხების მოვლა-შენახვა და დაბისა და თემის ცენტრებში არსებული საზოგადოებრივი საპირფარეოების დასუფთავებას.

2.3.5 წყალსადენების რეაბილიტაცია-რემონტი, სახანძრო ავზების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 06)

- მუნიციპალიტეტის მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში დაგეგმილია სახანძრო ავზების მოწყობა, რაც სწრაფი მანევრის საშუალებას მოგვცემს და შესაძლებელს გახდის საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებას, მათი შედეგების ლიკვიდაციას, მოსახლეობისა და გარემოს სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მშენებლობა გათვალისწინებულია 7 სოფელში (პანტნარი, ტუნაძეები, პაქსაძეები, გელაძეები, ჯვარიქეთი, ჩაო, ყინჩაური).

- მთა საჯოგიადან ნეგოიანში სასმელი წყლის მიყვანა (გარდამავალი) – დაბის მოსახლეობის სასმელი წყლით კიდევ უფრო მომარაგებისათვის დაგეგმილია მთა საჯოგიადან ნეგოიანის წყალსადენზე სასმელი წყლის მიყვანა, რითაც გაიზრდება წყლის დეპეტი. აღნიშნული სამუშაოები დაიწყო 2016 წელს და დასრულდება 2017 წელს.

- ღორჯომის წყალსადენის მოწყობა – არსებული წყალსადენი საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას, რაც აუცილებელია მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე ხელშეკრულების პირობების თანახმად გასულ წლებში წყალსადენების მოწყობა-რეაბილიტაციის შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული თანხის ანაზღაურება.

2.3.6 საპროექტო-საკადასტრო აზომვები და საექსპერტო მომსახურება სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საჯარო რეესტრში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დასარეგისტრირებელი შენობა-ნაგებობების და მიწის ნაკვეთების აზომვითი სამუშაოები, მიმდინარე და შემდგომი წლის პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და ესკიზური ნახაზების შედგენა.

2.3.7 სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 03 08)

- სანიაღვრე არხების მოწყობა (აგარა, პანტნარი) – დაგეგმილია სანიაღვრე არხების შექმნა აგარისა და პანტნარის სოფლებისათვის, ხოლო მოწყობა განხორციელდება სოფლის მოსახლეობის თანამონაწილეობით, რითაც შესაძლებელი გახდება უხვი ნალექის შემთხვევაში გზის სავალი ნაწილის დაცვა ხშირი დაზიანებისაგან.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე ხელშეკრულების პირობების თანახმად გასულ წლებში სანიაღვრე-საკანალიზაციო სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაციის შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული თანხის ანაზღაურება.

2.3.8 ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-შენახვის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 03 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, ასევე ზამთრის პერიოდში დაბის ქუჩების თოვლის საფარისაგან გაწმენდა და წლის განმავლობაში აუცილებელი და გადაუდებელი მიწის სამუშაოების განხორციელება.

2.4 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)



პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფერდსამაგრი სამუშაოები, ქვედა ვაშლოვანის ცენტრში არსებული საერთო სასაფლაოების მავთულბადით შემოკავება, დაბა ხულოში ტბელ აზუსერიძის ქუჩის №1 და №2 შენობების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ღორჯომის ცენტრის კეთილმოწყობა, მუნიციპალური ობიექტების გამრიცხველიანება, ასევე სკვერების და ქუჩების გამწვანების სამუშაოები.

2.4.1 მუნიციპალური სკვერების, ქუჩებისა და ფასადების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 04 01)

- ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფერდსამაგრი სამუშაოები – იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტში ხშირია ეროზიული პროცესები აუცილებელი გახდა ფერდსამაგრი სამუშაოების განხორციელება, რაც ცოტათი მაინც შეაჩერებს აღნიშნული პროცესების განვითარებას და გაიზრდება მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის შესაძლებლობა.
- ქვედა ვაშლოვანის ცენტრში არსებული საერთო სასაფლაოების მავთულბადით შემოკავება – მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად დაგეგმილია ქვედა ვაშლოვანის ცენტრში არსებული საერთო სასაფლაოების მავთულბადით შემოკავება.
- დაბა ხულოში ტბელ აზუსერიძის ქუჩის №1 და №2 შენობების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა – აღნიშნული ტერიტორია თავისი ფუნქციითა და მდებარეობით გამოირჩევა ვიზიტორთა სიმრავლით, რისთვისაც აუცილებელია მისი მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.
- ღორჯომის ცენტრის კეთილმოწყობა – სოფლის მოსახლეობის როგორც უხუცესი, ისე ახალგაზრდა თაობა თავისუფალი დროის დიდ ნაწილს ატარებენ სოფლის ცენტრში, სადაც არარი ელემენტარული პირობები იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ჩამოსხდომა და დასვენება. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად დაგეგმილია სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა.
- დაბა ხულოში ხიმშიაშვილის ქუჩა №8-ში არსებული საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ პანდუსის მოწყობა – მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური პირობების უზრუნველყოფა, მათ შორის შშმ პირებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა. აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია დაბა ხულოში ხიმშიაშვილის ქუჩა №8-ში არსებული საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ პანდუსის მოწყობა, რაც უზრუნველყოფს შშმ პირების გადაადგილების გამარტივებულ საშუალებას, რათა მათაც მიეცეთ საზოგადოებაში ნორმალური ინტეგრაციის საშუალება.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე ხელშეკრულების პირობების თანახმად გასულ წლებში მუნიციპალიტეტში სკვერების, ქუჩებისა და ფასადების მოწყობის შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული თანხის ანაზღაურება.

2.4.2 დაბა ხულოსა და მიმდებარე ტერიტორიის გამწვანების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული პარკების, სკვერების და მოედნების გამწვანება, მოვლა-შენახვა, შადრევნების მოვლა-შენახვა, ერთწლიანი სეზონური ყვავილების შეძენა-მოვლა, ხეებისა და ბუჩქების გასხვლა-გაფორმება, სხვადასხვა სახის დეკორატიული მცენარეების შეძენა და განაშენიანება.

2.4.3 მუნიციპალური შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 04 03)

- მუნიციპალური ობიექტების გამრიცხველიანება – მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ცალკეული ადმინისტრაციული შენობები საჭიროებს ელექტროენერგიით უზრუნველყოფას და შესაბამისად გამრიცხველიანებას, რისთვისაც მიმართულია აღნიშნული ღონისძიების განხორციელება.
- დაბაში საზოგადოებრივი საპირფარეშოს მშენებლობა – მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში განხორციელდა უამრავი ინფრასტრუქტურული, გასართობი და დასვენების ობიექტების მშენებლობა, რომელიც სამომავლოდ მუნიციპალიტეტს გახდის კიდევ უფრო მიმზიდველს ტურისტებისათვის. ხოლო დაბის ტერიტორიაზე არსებული საპირფარეშო ნაწილობრივ ამორტიზებულია და არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს, არ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ადაპტირებული გარემო. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა გაკეთდეს თანამედროვე



ტიპის არსებული სტანდარტების შესაბამისი საზოგადოებრივი საპირფარეშო, რომელიც ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვისაც.

- ოქრუაშვილებში საზოგადოებრივი საპირფარეშოს მშენებლობა – სოფელ ოქრუაშვილების ცენტრში განთავსებულია ყველა მუნიციპალური შენობები, სადაც თავს იყრის მოსახლეობის დიდი ნაწილი, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის საზოგადოებრივი საპირფარეშო. მოსახლეობის თხოვნით აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილია საზოგადოებრივი საპირფარეშოს მშენებლობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე ხელშეკრულების პირობების თანახმად გასულ წლებში მუნიციპალური შენობების მშენებლობა-რეაბილიტაციის შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული თანხის ანაზღაურება.

2.5 მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია – სოფლის მხარდაჭერის პროგრამა(პროგრამული კოდი 03 05)

გათვლისწინებულია 2016 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული გარდამავალი პროექტების დაფინანსება. გარდა ამისა, განხორციელდება გასულ წელს დარჩენილი სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების დასრულება.

2.5 სოფლის მეურნეობა (პროგრამული კოდი 03 06)

ხულოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სოფლის მეურნეობა და მისი განვითარება, რომელთაგანაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მესაქონლეობას. ამ კუთხით მუნიციპალიტეტის გამგეობა გეგმავს მოსახლეობაზე ხელშეწყობას ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოების კუთხით, ასევე დაგეგმილია მიწის ნაკვეთის შეძენა აგრარული ბაზრის მოსაწყობად.

2.5.1 ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 06 01)

სოფლის მეურნეობის საქმიანობას, რომელთაგანაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მესაქონლეობას, მოსახლეობა აწარმოებს როგორც რძესა და რძის პროდუქტებს ასევე ბაზარზე სარეალიზაციოდ გააქვთ ხორცპროდუქტები, რომლის დამუშავება ცალკეულ შემთხვევებში ხდებოდა არაქარხნული წესით და ვერ აკმაყოფილებდა სურსათის ეროვნული სააგენტოს მინიმალურ მოთხოვნებსაც კი. შესაბამისად, აღნიშნული პროდუქტის გამოყენება საფრთხის შემცველია მოსახლეობისათვის, ასევე მოსახლეობის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს სასაკლაოებზე დაწესებული ტარიფები და დიდი ნაწილი ვერ ახერხებს ლიცენზირებული სასაკლაოების მომსახურებით სარგებლობას. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად მოსახლეობის მაღალი ინტერესის გათვალისწინებით იქმნება „ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა“, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობას უზრუნველყოფილი იყოს ეკოლოგიურად სუფთა და სანიტარიული ნორმებით დამუშავებული პროდუქტის ბაზარზე შეტანა. პროგრამა განხორციელდება მოსახლეობის თანადაფინანსებით, სადაც მუნიციპალიტეტის წილი შეადგენს 80%-ს. ყოველივე ეს ფერმერებს შესაძლებლობას მისცემს უფრო განავითარონ მესაქონლეობის დარგი და ხორცისა და ხორცპროდუქტების რეალიზაციისას დაცული იქნება სანიტარიულ- ჰიგიენური ნორმები.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება, ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი მშენებლობა-რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

3.1 ა(ა)იპ – ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01)



მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით სკოლამდელ განათლებას მიიღებს დაახლოებით 705 ბავშვი. მუნიციპალიტეტი სრულად აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, უზრუნველყოფს სხვადასხვა ინვენტარით და ტექნიკით, რათა ბავშვებს მიეცეთ ნორმალური და სრულყოფილი განვითარების საშუალება.

3.2 საბავშვო ბაღების მშენებლობა-რემონტი (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საბავშვო ბაღების მშენებლობას და რემონტს. 2017 წლისათვის დაგეგმილია საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფელ ზედა ვაშლოვანში ერთ ჯგუფზე (25-30 ბავშვი), სოფელ ბელღეთში საბავშვო ბაღის მშენებლობა ერთ ჯგუფზე (25-30 ბავშვი), სოფელ ბოძაურში საბავშვო ბაღის მშენებლობა ერთ ჯგუფზე (25-30 ბავშვი) და სოფელ უჩხოს საბავშვო ბაღის და სოფლის კლუბის კეთილმოწყობა. ასევე დასრულდება 2016 წელს დაწყებული საბავშვო ბაღების მშენებლობის სამუშაოები (მეკეიძეებში საბავშვო ბაღის მშენებლობა, კორტოხში საბავშვო ბაღის მშენებლობა, ფაჩხაში საბავშვო ბაღის მშენებლობა).

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე ხელშეკრულების პირობების თანახმად გასულ წლებში საბავშვო ბაღების მშენებლობის შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული თანხის ანაზღაურება.

3.3 სკოლების მშენებლობა-რემონტი (პროგრამული კოდი 04 04)

სოფელ ქედლებში მოსახლეობის მოთხოვნით საფუძველზე დაგეგმილია სოფლის საჯარო სკოლის საქვაბე შენობის რეკონსტრუქცია. შედეგად სკოლას მიეცემა შესაძლებლობა ზამთრის ცივ პერიოდში შეუფერხებლად უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას, წახალისებას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

ხულოს მუნიციპალიტეტი გამორჩეულია სპორტის სფეროში მიღწეული წარმატებებითა და შედეგებით, რაზეც ნათლად მეტყველებს ჩვენი ახალგაზრდობის მიერ მიღწეული არა ერთი გამარჯვება სპორტის სხვადასხვა სფეროში. მიუხედავად ამისა, ამ კუთხით აუცილებელია კიდევ უფრო ფართო ღონისძიებების გატარება, რაც გათვალისწინებულია სპორტული ღონისძიებების პროგრამაში, ა(ა)იპ – ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლის საქმიანობაში და სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში.

4.1.1 ა(ა)იპ – ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)

სპორტული ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობის შემდგომი განვითარებისათვის ხულოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ – ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლა, რომლის ფინანსურად უზრუნველყოფას ახორციელებს ხულოს მუნიციპალიტეტი. სკოლაში სწავლობს 470 ბავშვი, ფუნქციონირებს ჭიდაობის, ფეხბურთის, კალათბურთის, ჩოგბურთის, სათხილამურო სპორტის, ჭადრაკის ჯგუფები. მეცადინეობები ტარდება სკოლის შემდგომ პერიოდში.

4.1.2 სპორტულ ღონისძიებათა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 03)



ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული და მასობრივი გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებას, ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების შემდგომ განვითარებას და პოპულარიზაციას. მუნიციპალიტეტის სპორტსმენები მონაწილეობენ საქართველოს მასშტაბით დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში, ტურნირებში. ხულოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს განსაკუთრებული წარმეტებები აქვთ ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში (არიან ევროპის, მსოფლიოს, ოლიმპიადის პრიზიორები), ვითარდება სათხილამურო სპორტი და ძალოსნობის სხვადასხვა სახეობები. წარმატებული სპორტსმენების წახალისება ხდება საჩუქრებით, ჯილდოებით და წლის ბოლოს გამორჩეული სპორტსმენები საჩუქრდებიან ფულადი ფორმით.

4.1.3 სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რემონტი (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შვიდი მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაციას (წაბლანის მინი სპორტულ მოედანზე მავთულბადის და ხელოვნური საფარის მოწყობა, გელაურის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, ტაბახმელის მინი სპორტული მოედნის რემონტი, ხელოვნური საფარის დაგება, ძირკვაძეების მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, დაბის სპორტულ მოედანზე ხელოვნური საფარის შეცვლა, რაქვთის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, დიდი რიყეთის მინი სპორტულ მოედანზე ხელოვნური საფარის დაგება), ასევე დაგეგმილია სამი მინი სპორტული მოედნის მშენებლობა (თაგოში მინი სპორტული მოედნის მშენებლობა, ბაკოში მინი სპორტული მოედნის მშენებლობა, გურძაულის მინი სპორტული მოედნის მშენებლობა), ხოლო სოფელ კვატიაში დაგეგმილია მინი სპორტული დარბაზის მშენებლობა და დაბაში არსებული ა(ა)იპ – ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლის რეაბილიტაცია.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

ხულოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის აღზრდას, წარმოჩენას და გამოვლინებას ხელს უწყობს მუნიციპალიტეტი. ამ კუთხით დაბაში მოქმედებს სახელოვნებო სკოლა, სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი, კულტურის ცენტრი, ხორციელდება სხვადასხვა კულტურული პროგრამები თუ ღონისძიებები, კონფერენციები და ღირშესანიშნავი დღეებისადმი მიძღვნილი საღამოები.

4.2.1 ა(ა)იპ – ხულოს სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01)

დაბა ხულოში ფუნქციონირებს სახელოვნებო სკოლა, რომელიც ემსახურება ბავშვების სწავლა-განათლებას და აღზრდას სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში, ეწყობა ანიმაციური ფილმები, მზადდება ბავშვთა თეატრალური გამოსვლები, რითაც ბავშვებს ეძლევათ საშუალება გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები და ნიჭი აღნიშნული დარგის მიმართ. სკოლაში სწავლობს 85 ბავშვი. ასევე დაგეგმილია სახელოვნებო სკოლის შენობის მცირე რემონტი.

4.2.2 ა(ა)იპ ხულოს კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის და გაგრძელების მიზნით ხულოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის ცენტრი, რომლის ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. კულტურის ცენტრი ხელს უწყობს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარებას, ქმნის შესაბამის პირობებს, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლინება. კულტურის ცენტრში ფუნქციონირებს ფოლკლორული და ქორეოგრაფიული წრეები, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი. თემებში არსებული კლუბები ხელს უწყობენ ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ქორეოგრაფიული თუ სხვა ტრადიციების შენარჩუნებას და წარმოჩენას (ბერმუხა, ქალთა ფოლკლორული ჯგუფები და სხვა).

4.2.3 სსიპ – ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 03)

ხულოს პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს არსებობის დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა მისი საკუთარი შემოსავლები იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია მისი დამოუკიდებლად ფუნქციონირება, შესაბამისად საჭიროა მისი ფინანსური მხარდაჭერა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან, რათა კვლავინდებურად გააგრძელოს თავისი ტრადიციები. თეატრი ახორციელებს წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის სპექტაკლების წარმოდგენას, რაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გაჯანსაღებას.



4.2.4 კულტურულ ღონისძიებათა მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ღირშესანიშნავი დღეების აღნიშვნას, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენას, წარმატებული ახალგაზრდების წახალისებას საჩუქრებით და საინტერესო პროექტების ხელშეწყობას. მუნიციპალიტეტისათვის ტრადიციული ღონისძიებების, მათ შორის შუამთობის, ტბელობის, დიდაჭარობის ორგანიზება-ჩატარებას, რომლის დროსაც იმართება კონცერტები, სპორტული და სხვა შეჯიბრებები. ტარდება სტუდენტებთან და წარჩინებულ მოსწავლეებთან, დამსახურებულ პედაგოგებთან შეხვედრები. თვითშემოქმედი კოლექტივები და კულტურის ცენტრთან არსებული სხვადასხვა ანსამბლები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში, როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

4.2.5 კულტურული ობიექტების მშენებლობა-რემონტი (პროგრამული კოდი 05 02 05)

ხიხაძირის კულტურის სახლის კეთილმოწყობა (რემონტი) – მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე დაგეგმილია ხიხაძირში არსებული კულტურის სახლის კეთილმოწყობა-რემონტი. თემში არსებობს ქორეგრაფიული და ფოლკლორული გუნდები, რომელთაც არაერთგზის წარმატებები აქვთ მიღწეული და აღნიშნული ღონისძიების განხორციელება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მათ შემდგომ განვითარებას.

რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის კლუბის მშენებლობა – აღნიშნული ღონისძიება ხორციელდება 2015 წლიდან, რომელიც დასრულდება მიმდინარე წელს. შედეგად რიყეთის თემის მოსახლეობას გაუჩნდება უსაფრთხო თავშეყრის ადგილი, ხელი შეეწყობა მოსახლეობის კულტურულ განვითარებას, მოქმედი კოლექტივების შრომის პირობების გაუმჯობესებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასევე ხელშეკრულების პირობების თანახმად გასულ წლებში კულტურის ობიექტების მშენებლობის შესრულებული სამუშაოებიდან დაკავებული თანხის ანაზღაურება.

4.2.6 ახალგაზრდობის სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობისა და ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 02 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოზარდებთან მუშაობას, რომლის მიზანია ახალგაზრდებში შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება. აგრეთვე ახალგაზრდების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება.

4.2.7 ა(ა)იპ – კურორტი ბეშუმში (პროგრამული კოდი 05 02 07)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კურორტ ბეშუმში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, კურორტის ტერიტორიის დასუფთავებას, წყლისა და კანალიზაციის სისტემების მომსახურებას, ზამთრის პერიოდში ინფრასტრუქტურის დაცვის და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას სხვადასხვა დაავადებებისაგან. ასევე მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას.

5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

ჯანმრთელობის დაცვის უპირველესი ამოცანაა ადამიანის ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის შესწავლა, მათი გამოვლენა, სწორი დიაგნოსტიკა და დროული მკურნალობა, ინდივიდუალური და კომპლექსური პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და



შრომისუნარიანობის შენარჩუნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პროგრამები მოწოდებულია, რათა უზრუნველყოს მოსახლეობის კეთილდღეობა ეპილევსიით დაავადებულ პირებზე და ბავშვებზე ზრუნვა, პარკინსონით დაავადებულ მოქალაქეთა ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნა, სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის.

5.1.1 ა(ა)იპ – ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ამბულატორიების მომსახურების გაუმჯობესებას (სულ 11 ამბულატორია), რისთვისაც ა(ა)იპ – ხულოს სოციალური სერვისების ცენტრი უზრუნველყოფს ექიმებს მედიკამენტებით და სხვა მიმდინარე ხარჯებით (მძღოლის ხელფასი, საწვავი, ავტომანქანის რემონტი, ავტომანქანის დაზღვევა, ოფისის ხარჯები და სხვა), რაც მოგვცემს ამბულატორიების გამართული და ეფექტური მუშაობის საშუალებას. ასევე გათვალისწინებულია სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მომსახურების განხორციელება (მედიკამენტებისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების შეძენა-მიწოდება), რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს თემის სამედიცინო პუნქტების მუშაობას, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და განმტკიცებას.

5.1.2 ეპილევსიით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ეპილევსიით დაავადებული ბავშვების თუ მოზარდების ყოველდღიურად მისაღები მედიკამენტებით უზრუნველყოფას. მომსახურება ხორციელდება 71 ბენეფიციარზე.

5.1.3 პარკინსონით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს პარკინსონით დაავადებულ მოქალაქეთა ყოველდღიურად მისაღები მედიკამენტებით უზრუნველყოფას. მომსახურება ხორციელდება 12 ბენეფიციარზე.

5.1.4 ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა-რემონტი (პროგრამული კოდი 06 01 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში არსებული ამბულატორიების შენობის რემონტს (თხილვანა, ფუმრუკაული, რიყეთი, აგარა, დიოკნისი), რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის უკეთეს სამედიცინო მომსახურების პირობების შექმნას.

5.1.5 ბრონქული ასთმით დაავადებულ მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბრონქული ასთმით დაავადებულ მოქალაქეთა ყოველდღიურად მისაღები მედიკამენტებით უზრუნველყოფას. მომსახურება ხორციელდება 64 ბენეფიციარზე.

5.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

საზოგადოების ყველა წევრს არ შეუძლია ამა თუ იმ მიზეზების გამო უზრუნველყოს მისი და მისი ოჯახის ცხოვრების ნორმალური დონე, ამიტომ აუცილებელია შრომისუუნარო მოსახლეობაზე, სოციალურად დაუცველ ფენებზე დახმარება. განსაკუთრებით მზრუნველობის საგანს წარმოადგენენ ინვალიდები და ომის ვეტერნები, მრავალშვილიანი ოჯახები, დედ-მამით ობოლი ბავშვები, დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირები, ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვები, ონკოლოგიურ და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული სოციალურად შეჭირვებული ოჯახები.

5.2.1 სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 01)



მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენისათვის დახმარება ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის მთავარი და ძირითადი პრიორიტეტია. ხულოს მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილია ერთი სასადილო დაბა ხულოში, რომელიც ემსახურება 40 ბენეფიციარს ყოველდღე უფასო ერთჯერადი ცხელი საკვებით.

5.2.2 ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების, მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების და მარჩენალდაკარგულთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუჯობესების, შეღავათებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილი ადამიანების, კერძოდ, ომის მონაწილე ვეტერანების და მარჩენალდაკარგულთა სარიტუალო მომსახურების, მათი საყოფაცხოვრებო პირობებისა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. სადღესასწაულო დღეების დროს გათვალისწინებულია 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეზრძოლების ოჯახებზე (სულ 2 ოჯახი) დახმარება 500 ლარის ოდენობით, ასევე გათვალისწინებულია 250 ვეტერანის თხევადი აირით უზრუნველყოფა ერთჯერადად. გათვალისწინებულია ა(ა)იპ აჭარის არ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება „ომგადახდილის“ ხულოს რაიონული ფილიალის დაფინანსება 3000 ლარის ოდენობით, წლის განმავლობაში.

5.2.3 უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დაკრძალვისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამით ხორციელდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი (70000 ქულაზე ნაკლები) ოჯახების მატერიალური დახმარება, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას, საშუალოდ 90 ოჯახზე 300 ლარის ოდენობით.

5.2.4 ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 04)

მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური სტიმულირების მიზნით მოქმედი პროგრამა ითვალისწინებს ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე ფინანსურ დახმარებას, კერძოდ, ყოველ მე-3 შვილზე 500 ლარი, მე-4 შვილზე 700 ლარი, მეხუთე და შემდგომზე 900 ლარი. პროგრამა გათვლილია წლის განმავლობაში საშუალოდ 86 ბენეფიციარზე.

5.2.5 5 და 5-ზე მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 05)

ხულოს მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მრავალშვილიანი ოჯახების სიმრავლით, რომელთა დიდი ნაწილი სოციალურად დაუცველია და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება, აღნიშნულის გამო დღის წესრიგში დადგა მრავალშვილიანი (5 და მეტი შვილი) ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება ერთჯერადად 1000 ლარის ოდენობით, პროგრამა გათვლილია საშუალოდ 60 ოჯახზე.

5.2.6 უდემამო ბავშვებისათვის ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიურ მატერიალურ დახმარებას, მათთვის მატერიალური და მორალური მხარდაჭერისათვის, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბავშვებს არ აქვთ ელემენტარული სახსრები, რაც ესაჭიროება მათ განვითარებას და აღზრდას. პროგრამა გათვლილია 1 მოზარდზე. დახმარების გაცემა წარმოებს ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით.

5.2.7 დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პირთა სატრანსპორტო ხარჯებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 09)

- ა ითვალისწინებს სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ქ. ბათუმის კლინიკებში დიალიზის სეანსების ჩასატარებლად ტრანსპორტირების ხარჯებს. პროგრამა გათვლილია 16 ბენეფიციარზე და 8 თანხმლებ პირზე.



5.2.8 ონკოლოგიურ და ხანგრძლივ მკურნალობას დაქვემდებარებული დაავადებების და მძიმე ტრავმული დაზიანებების მქონე სოციალურად შეჭირვებულ პირთა ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 10)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ონკოლოგიურ დაავადებულთა და მძიმე ტრავმული დაზიანებების მქონე სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებზე ერთჯერადი დახმარების გაწევას არაუმეტეს 200 ლარისა. ქვეპროგრამა გათვლილია 200 ოჯახზე.

